ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3452150

ნომერი: AR1523636

თარიღი : 17.07.2017

გაცემის თარიღი : 04.08.2017

გაცნობის თარიღი : 04.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 31/13 ; ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 31/13 ; ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 31/13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თამარ მელიქიძე პ/ნ 01027018747
- თბილისი, ქურხულის შეს. 2, ბ. 4

ორგანიზაცია:
- შპს "ალმა" კოდი: 204873388

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 28 ივლისის AR1523636 განაცხადი.

გაცნობებთ, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია (1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი N 01.15.04.013.001.01.533 ; რეგისტრაციის N 882017029452; საკადასტრო კოდი N 882017030486 რეგისტრაციის N 882017029452; საკადასტრო კოდი N01.15.04.013.001.01.543 რეგისტრაციის N882017029625;2. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა; 3.ფოტომონტაჟი;) და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი–მთაწმინდა) რუსთაველის გამზირი N31/13-ში არსებულ შენობაზე ,წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით,(2017 წლის 16-29ოქტომბერი) ორი კვირის განმავლობაში სარეკლამო ბანერის განთავსების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge